შერვუდ ანდერსონი

რესპექტაბელური ხალხი

(მოთხრობათა კრებულიდან „ უაინსბურგი, ოჰაიო.“)

ინგლისურიდან თარგმნა: ზურაბ სონღულაშვილმა

თბილისი, 2020 წ.

რესპექტაბელური ხალხი

თუ ოდესმე ქალაქში გიცხოვრიათ და ზაფხულის დღეს სასეირნოდ პარკში შეგივლიათ, ალბათ, შეამჩნევდით რკინის გალიის კუთხეში მიმჯდარ უზარმაზარ თვალებდაჭყეტილ მახინჯ არსებას, მაიმუნს, თვალებქვეშ ჩამოკიდებული ქოსა კანით და ღია ალისფერი ტორსით. ეს მაიმუნი ნამდვილი მონსტრია, თუმცა მის სრულქმნილ სიმახინჯეს რაღაცნაირი გარყვნილი სილამაზეც ახლავს. გალიის წინ გაჩერებული ბავშვები მონუსხულებივით მისჩერებიან, მამაკაცები ზიზღით პირს იბრუნებენ, ხოლო ქალები მყისიერად ჩერდებიან. ალბათ, ცდილობენ გაიხსენონ მათი ნაცნობი მამაკაცებიდან რომელს ჩამოჰგავს ეს ცხოველი.

თქვენი ცხოვრების ადრეულ წლებში ოჰაიოს შტატის სოფელ უაინსბურგის მკვიდრი თუ იყავით, გალიაში გამომწყვდეულ ცხოველთან დაკავშირებით თქვენთვის არანაირი კითხვა არ არსებობს. „უოშ უილიამსს ჰგავს," - ამას გადაჭრით იტყოდით. გალიის კუთხეში მჯდარი მაიმუნი ზედგამოჭრილი მოხუცი უოშია - ზაფხულის საღამოს სამუშაოს დამთავრების შემდეგ სადგურის ეზოში გაზონზე მჯდომი უოში.

უოშ უილიამსი, უაინსბურგელი ტელეგრაფისტი, ქალაქში ყველაზე მახინჯი ვინმე იყო. უზარმაზარი მუცელი, წვრილი კისერი და სუსტი ფეხები ჰქონდა. ჭუჭყიანი, ყველაფრით უწმინდური, თვალების გუგებითაც კი.

ცოტა ავჩქარდი, ყველაფერი უწმინდური არ ჰქონდა. ხელებს კარგად მოვლილი ეთქმოდა. ტელეგრაფის გვერდით მაგიდაზე დაწყობილი მისი კოტიტა, მაგრამ რაღაცნაირად მგრძნობიარე და ლამაზი ფორმის თითები უმალ თვალში გეცემოდათ. ახალგაზრდობაში უოშ უილიამსი შტატის საუკეთესო ტელეგრაფისტად ცნეს. უაინსბურგის მიყრუებულ ოფისში ჩამოქვეითების მიუხედავად, იგი თავისი ცოდნით კვლავაც ამაყობდა.

უოშ უილიამსს თანამოქალაქეებთან ურთიერთობა არ ჰქონდა. „მათთან საერთო არაფერი მაქვს," - იტყოდა იგი და ტელეგრაფის ოფისის ახლოს, სადგურის ბაქანზე მოსიარულე ხალხს ამღვრეულ მზერას გააყოლებდა. საღამოობით მეინ სთრითის გავლით ედ გრიფიტის ბარში შეივლიდა და უზომო რაოდენობის ლუდის შთანთქმის შემდეგ „ნიუ უილარდ ჰაუზის" ოთახში მდგარი თავისი საწოლისკენ გზას ბარბაცით გაუყვებოდა.

უოშ უილიამსი გაბედული კაცი იყო, მაგრამ მის ცხოვრებაში მომხდარმა ერთმა შემთხვევამ სიცოცხლე შეაძულა და მთელი არსებით, პოეტური ვნებით ზიზღი ჩაუსახა. უპირველეს ყოვლისა, ქალები სძულდა. „ძუკნები", - ასე ეძახდა მათ. მამაკაცების მიმართ დამოკიდებულება ცოტათი განსხვავებული ჰქონდა. ისინი ეცოდებოდა. „განა, ყველა კაცის ცხოვრებას რომელიღაც ძუკნა არ მართავს?" - სვამდა შეკითხვას.
უაინსბურგში უოშ უილიამსის მხრიდან თანამოძმეებისადმი ასეთ სიძულვილს ყუარდღებას არავინ აქცევდა. ერთხელ, ბანკირის ცოლმა მისის უაითმა ტელეგრაფის კომპანიას საჩივრით მიმართა, უაინსბურგის ტელეგრაფის ოფისში სიბინძურეა და იქაურობა საზიზღრად ყარსო, თუმცა ამას არაფერი მოჰყოლია. აქა-იქ ხალხს ტელეგრაფისტი უყვარდა კიდეც. ხალხი ინსტიქტურად გრძნობდა მოხუცის იმ მგზნებარე გულისწყრომას, რომლის გამოხატვის გამბედაობა თვითონ არ გააჩნდათ. როცა უოში ქალაქში გამოჩნდებოდა, ასეთი ადამიანები ინსტიქტურად ქუდის მოხდით და თავის დაკვრით პატივს მიაგებდნენ ხოლმე. ასევე იყო მის მიმართ განწყობილი უაინსბურგის რკინიგზის ტელეგრაფის სუპერინტენდანტიც. მან უოში უაინსბურგის მიყრუებულ კანტორაში იმიტომ გაამწესა, რომ სამსახურიდან მის დათხოვნას მოერიდა. სინამდვილეში, მისი გაშვება არც უფიქრია. როცა ბანკირის ცოლისგან საჩივრის წერილი მიიღო, დახია და უსიამოვნოდ ჩაიცინა. წერილს რომ ანადგურებდა, რატომღაც თავისი ცოლი გაახსენდა.

ერთ დროს ცოლი უოშ უილიამსაც ჰყავდა. ჯერ სულ ახალგაზრდა

იყო, ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონში ცოლი რომ შეირთო. მაღალი, მოხდენილი, ცისფერთვალება და ქერათმიანი ქალი. თვითონ უოშიც სანდომიანი გარეგნობის ჭაბუკი გახლდათ. ის ქალი ისეთივე ყოვლისმომცველი სიყვარულით შეიყვარა, როგორი სიძულვილითაც მოგვიანებით ყველა ქალი შეიძულა.

მთელ უაინსბურგში მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა იმ ისტორიის შესახებ, რომელმაც უოშ უილიამსის პიროვნება და ხასიათი დაამახინჯა. უოშმა ერთხელ ჯორჯ უილარდს მოუყვა. აი, ეს ისტორიაც:

ერთ საღამოს ჯორჯ უილარდი მის ბელ კარპენტერთან ერთად სეირნობდა, რომელიც ქეით მაკჰიუს ქუდების მაღაზიაში ქალის ქუდების მომრთველად მუშაობდა. ჯორჯი ქალზე შეყვარებული არ გახლდათ. მითუმეტეს, რომ ქალს უკვე ჰყავდა თაყვანისმცემელი - ედ გრიფიტის რესტორნის ბარმენი. მიუხედავად ამისა, იმ საღამოს ისინი ხეივანში მისეირნობდნენ და დროდადრო ერთმანეთს ეხვეოდნენ კიდეც. ღამემ და ფიქრებმა მათში რაღაც გააღვიძა. მეინ სთრითზე რომ ბრუნდებოდნენ, რკინიგზის სადგურის ახლოს პატარა გაზონს ჩაუარეს, სადაც უოშ უილიამსი დაინახეს, რომელსაც ხის ქვეშ ბალახზე ჩასძინებოდა. მომდევნო საღამოს ტელეგრაფისტი და ჯორჯ უილარდი ერთად გავიდნენ სასეირნოდ. რკინიგზას ჩაუყვნენ და ლიანდაგების გვერდით დაწყობილი დამპალი შპალების გროვაზე ჩამოსხდნენ. სწორედ მაშინ მოუყვა ტელეგრაფისტმა ახალგაზრდა რეპორტიორს თავისი სიძულვილის ამბავი.

ადრე ალბათ ათჯერ მაინც დააპირა ჯორჯ უილარდმა საუბარი წამოეწყო ამ უცნაურ, ფორმადაკარგულ კაცთან, რომელმაც ჯორჯის მამის სასტუმროში დაიდო ბინა. ახალგაზრდა რეპორტიორი სასტუმროს სასადილო ოთახში ალმაცერად მომზირალ საზიზღარ ფიზიონომიას უყურებდა და ფიქრს ცნობისმოყვარეობის ჭია უღრღნიდა. მოხუცის გაშტერებული თვალები რაღაცას მალავდნენ და თითქოს ჯორჯს ატყობინებდნენ, რომ ამ კაცს სხვებისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდა, თუმცა ამავე დროს, მზად იყო

ჯორჯისთვის თავისი გული გადაეშალა, რასაც ზაფხულის ამ საღამოს რკინიგზის შპალებზე მჯდომი ახალგაზრდა ჭაბუკი მოუთმენლად ელოდა. როცა ტელეგრაფისტი დადუმდა და სავარაუდოდ საუბარი გადაიფიქრა, ჯორჯი შეეცადა საუბარში თვითონ გამოეწვია. „ოდესმე თუ ყოფილხართ დაქორწინებული, ბატონო უილიამს?“ - დაიწყო მან. „სავარაუდოდ, იყავით და თქვენი ცოლი მკვდარია, ასეა არა?“

უოშ უილიამსის ბაგეებმა საშინელი გინების კორიანტელი დააყენეს. „ჰო, მკვდარია,“- დაეთანხმა იგი. - ისეთივე მკვდარი, როგორც ყველა ქალი. ცოცხალი მკვდარი, რომელიც ხალხის თვალწინ ამ ქვეყანაზე თავისი არსებობით ყველაფერს ბილწავს.“ მოხუცმა ბიჭს დაჟინებული მზერა მიაპყრო და სიბრაზისგან ალმური მოეკიდა. „თავიდან ამოიგდე სულელური აზრები,“ - წარმოთქვა მან ბრძანების კილოთი, - ჩემი ცოლი მკვდარია. დიახ, მე შენ გეუბნები, ყველა ქალი მკვდარია. დედაჩემიც, დედაშენიც, ის მაღალი შავგვრემანი ქალიც, ქუდების მაღაზიაში რომ მუშაობს, ვისთან ერთადაც გუშინ დაგინახე, როცა სეირნობდით. ყოველი მათგანი მკვდარია. დამიჯერე, ისინი დამპლები არიან. ცხადია, მე დაქორწინებული ვიყავი. ის ქალბატონი, სანამ ცოლად გამომყვებოდა, უკვე მკვდარი იყო. ბინძური ქალი, მასზე უფრო ბინძური ქალის ნაშობი და ამქვეყნად ჩემთვის ცხოვრების გასამწარებლად მოვლენილი. სულელი ვიყავი, გესმის? ისეთივე სულელი, როგორიც ახლა შენ ხარ. მოკლედ, ის ქალი ცოლად შევირთე. ნეტავ, კაცები ქალებს უკეთ იცნობდნენ. ქალები იმისთვის არიან მოვლენილნი, რომ ამ ქვეყნად მამაკაცების ცხოვრება სრულ უაზრობად აქციონ. ეს ბუნების ოინია. მცოცავი, მხოხავი, სრიალა არსებები ფაფუკი ხელებითა და ცისფერი თვალებით. ქალის დანახვაზეც კი ცუდად ვხდები. არ ვიცი, რატომ არ ჩავაძაღლებ ყველა ქალს, რომელსაც ვხედავ.’’

მოხუცის ცეცხლოვანი მზერით ნახევრად შეშინებული და ნახევრად მონუსხული ჯორჯ უილარდი ცნობისწადილით აღგზნებული უსმენდა. დაბნელდა. ჯორჯი წინ გადაიხარა, მოსაუბრის სახე უკეთ რომ დაენახა. როცა ღამის წყვდიაში ჭაბუკი მოხუცის ალისფერ,

დასიებულ სახეს და მოელვარე თვალებს ვეღარ არჩევდა, იგი ფანტაზიებმა გაიტაცა. უოშ უილიამსი დაბალი, მონოტონური ხმით ლაპარაკობდა, რის გამოც მისი სიტყვები კიდევ უფრო საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა. სიბნელეში ახალგაზრდა რეპორტიორმა წარმოიდგინა, რომ რკინიგზის შპალებზე სანდომიანი ახალგაზრდა კაცის გვერდით იჯდა, რომელიც შავგვრემანი იყო და შავი მბრწყინავი თვალები ჰქონდა. ამავე დროს, უოშ უილიამსის ხმაში, რომელიც თავისი სიძულვილის ისტორიას ყვებოდა, რაღაც მშვენიერიც იყო.

ღამის სიბნელეში რკინიგზის შპალებზე ჩამომჯდარი უაინსბურგელი ტელეგრაფისტი პოეტად გადაიქცა. ასეთი აღმაფრენა მისმა სიძულვილმა განაპირობა. „მოგიყვები ჩემს ისტორიას. იმიტომ, რომ დაგინახე ბელ კარპენტერს ტუჩებში როგორ კოცნიდი," - თქვა მან. - რაც მე შემემთხვა, შეიძლება შენც შეგემთხვას. მინდა გაფრთხილდე. ალბათ, თავში უკვე რაღაც ოცნებები გაქვს. მინდა ისინი დაგიმსხვრიო."
უოშ უილიამსმა თავისი ამბის თხრობა დაიწყო. ყვებოდა, როგორ დაქორწინდა მაღალ ქერა ცისფერთვალება გოგოზე, რომელიც მან ახალგაზრდობისას ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონში ტელეგრაფისტად მუშაობის დროს გაიცნო. მის თხრობაში ლამაზი სურათები და საზიზღარი გინება ერთმანეთს ენაცვლებოდა. ტელეგრაფისტმა დანტისტის ქალიშვილზე იქორწინა, რომელიც სამ დას შორის ნაბოლარა იყო. ქორწინების დღეს, მისი ცოდნის გათვალისწინებით, უოში დისპეტჩერად დააწინაურეს, ხელფასი გაუზარდეს და სამუშაოდ ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლამბასის ოფისში მიავლინეს. იქ იგი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად დასახლდა და განვადებით სახლის ყიდვა გადაწყვიტა.

ახალგაზრდა ტელეგრაფისტს ქალი სიგიჟემდე უყვარდა. რელიგიური გზნებით აღვსილმა მოახერხა ახალგაზრდული ცდუნებისთვის თავი დაეღწია და ქორწინებამდე უბიწოება შეენახა. უოშმა ჯორჯ უილარდს კოლამბასის სახლში ახალგაზრდა ცოლთან თანაცხოვრების სურათი დაუხატა: „ჩვენი სახლის უკანა ეზოში ბოსტნეული დავთესეთ. მუხუდო, ხორბალი და ეგეთი რამეები.

კოლამბასში მარტის დასაწყისში ჩავედით და როგორც კი თბილი დღეები დაიჭირა, ბაღში მუშაობას შევუდექი. მე ბარით შავ მიწას ვატრიალებდი, ჩემი ცოლი კი სიცილ-კისკისით აქეთ-იქით დახტოდა და თავს იკატუნებდა, თითქოს ჩემს მიერ ნაპოვნი ჭიებისა ეშინოდა. აპრილის ბოლოს თესვის დროც მოვიდა. ჩემი ცოლი ნათესების მწკრივებს შორის გამავალ ვიწრო ბილიკზე იდგა და ხელში ქაღალდის ტომარა ეჭირა. ტომარა თესლებით იყო სავსე. ცოტ-ცოტას ხელში მაწვდიდა, მე კი თბილ და რბილ მიწაში ვფლავდი“.

ღამის წყვდიადში მოსაუბრე კაცს წამიერად ხმა ჩაუწყდა. „მე ის მიყვარდა.“ - ძლივს წარმოთქვა მან. - ვაღიარებ, რომ სულელი ვიყავი. მე ის დღემდე მიყვარს. იქ, გაზაფხულის იმ საღამოს, ბინდ-ბუნდში, შავ მიწაზე ფეხებთან მივუხოხდი და მის წინაშე განვერთხე. ფეხსაცმელებს და კოჭებს ვუკოცნიდი. მისი კაბის არშია სახეზე შემეხო და კანკალმა ამიტანა. როცა ცოლთან ორი წლის თანაცხოვრების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მან სამი საყვარლის გაჩენა მოახერხა, და ჩემი სამუშაოზე ყოფნის დროს ჩვენს სახლში სამივე სისტემატურად დადიოდა, არც ერთი მათგანისთვის ხელი არ მიხლია. უბრალოდ, ცოლი სახლში დედამისთან გავუშვი. არაფერი მითქვამს. არც აღარაფერი იყო სათქმელი. როცა წავიდა, სულელი ბავშვივით ავტირდი. სულ მალე სახლი გავყიდე და ფული ცოლს გავუგზავნე.“

უოშ უილიამსი და ჯორჯ უილარდი შპალების გროვიდან წამოდგნენ და რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ ქალაქისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ. ტელეგრაფისტმა თავისი ამბავი სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით დაასრულა: „დედამისმა კაცი მომიგზავნა, წერილი მომწერა და დეიტონში მათ სახლში მისვლა მთხოვა. იქ რომ ჩავედი საღამო იყო, დაახლოებით ეს დრო იქნებოდა.“ უოშის ხმის ინტონაცია ნახევრად კივილამდე ამაღლდა: „ორი საათის განმავლობაში მათი სახლის სასტუმრო ოთახში ვიჯექი. იქ დედამისმა შემიყვანა და დამტოვა. დახვეწილი სახლი ჰქონდათ. როგორც იტყვიან, რესპექტაბელური ხალხი იყვნენ. ოთახში პლუშის

სკამები და დივანი ედგათ. სულ მაკანკალებდა. ყველა მძულდა, ვინც ჩემი ვარაუდით ჩემი ცოლი აცდუნა. მარტო ცხოვრება გამიჭირდა და მინდოდა ჩემთან დაბრუნებულიყო. რაც უფრო დიდხანს ვიცდიდი, მით უფრო გულჩვილი და დამყოლი ვხდებოდი. ასე მეგონა, ოთახში რომ შემოსულიყო და ხელზე შემხებოდა, გონებას დავკარგავდი. ერთი სული მქონდა ყველაფერი მეპატიებინა და დამევიწყებინა.“

უოშ უილიამსმა ლაპარაკი შეწყვიტა და ჯორჯ უილარდს მიაშტერდა. ბიჭს ტანში ციებასავით გასცრა. მოხუცის ხმა ისევ რბილი და მშვიდი გახდა. „ჩემი ცოლი ოთახში შიშველი შემოვიდა,“ - განაგრძო მან. - ეს დედამისის იდეა იყო. სანამ იქ ვიჯექი, ტანსაცმელს ხდიდა, ალბათ იოლად დაიყოლია. ჯერ დერეფნის კარებთან ჩურჩული შემომესმა, შემდეგ კარი უხმაუროდ გაიღო. გოგო დარცხვენილი იდგა და იატაკს ჩუმად დაჰყურებდა. დედამისი ოთახში არ შემოსულა. ქალიშვილი ოთახში შემოაგდო, თვითონ დერეფანში დარჩა და ადგილიდან არ იძროდა. ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ... მოკლედ, ელოდებოდა.“

ჯორჯ უილარდი და ტელეგრაფისტი უანსბურგის მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. მაღაზიის ვიტრინების შუქები ქვაფენილს ანათებდნენ. საუბარში გართული ხალხი სიცილ-კისკისით მისეირნობდა. ახალგაზრდა რეპორტიორმა თავი შეუძლოდ და უსუსურად იგრძნო, თითქოს ისიც მახინჯ მოხუცად იქცა. „დედამისი არ მომიკლავს, - წარმოთქვა უოშ უილიამსმა, - მხოლოდ ერთხელ ჩავარტყი სკამი. მერე მეზობლები შემოვარდნენ და გამარიდეს. ფარშევანგის ხმით გაჰკიოდა. მისი მოკვლის შანსი აღარასოდეს მომეცემა. იმ შემთხვევის შემდეგ ერთ თვეში ციებით გარდაიცვალა’’
.